




მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები

მარტი, 2025


- 2025 წლის თებერვალში, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, რეალური მშპ-ს ზრდის ტემპმა შეადგინა 7.7 პროცენტი, ხოლო 2024 წლის საშუალო ზრდა 9.4 პროცენტზე დაფიქსირდა
- მარტში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 3.5 პროცენტი და საბაზო ინფლაცია გაუტოლდა 2.4 პროცენტს
- თებერვალში ექსპორტი შემცირდა წლიურად 7.1 პროცენტით და იმპორტი შემცირდა წლიურად 6.6 პროცენტით, რამაც სავაჭრო დეფიციტი 6.3 პროცენტით შეამცირა წლიურად და გაუტოლდა 671.9 მლნ აშშ დოლარს
- თებერვლის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი გაუფასურდა 8.5 პროცენტით წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით და 1.0 პროცენტით წინა თვესთან შედარებით
- მარტში საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტზეა
- მარტის ბოლოსთვის, საქართველოს სუვერენული რეიტინგები შემდეგია:
Fitch „BB ნეგატიური“ S&P „BB სტაბილური“ Moody’s „Ba2 ნეგატიური“

წინასწარი შეფასებით თებერვალში ეკონომიკურმა ზრდამ 7.7 პროცენტი შეადგინა

ეკონომიკური ზრდა, % წ/წ




ეკონომიკური ზრდა, % თ/თ



- წინასწარი შეფასებით, 2025 წლის თებერვალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდამ 7.7 პროცენტი შეადგინა, ხოლო სეზონურად მოსწორებულმა ეკონომიკურმა ზრდამ თებერვალში წინა თვესთან შედარებით -0.5 პროცენტი შეადგინა. 2024 წლის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი 9.4 პროცენტია.
- 2025 წლის თებერვალში წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა შეინიშნებოდა შემდეგ საქმიანობებში: პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი და დასაწყობება, ენერჯეტიკა, სამთომოპოვებითი მრეწველობა.


ეკონომიკური ზრდა 2025-2019



წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


2024 წლის მეოთხე კვარტალში რეალური მშპ საშუალოდ გაიზარდა 8.3 პროცენტით

მშპ-ს რეალური ზრდა ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2024 IV კვარტალი



- წინასწარი შეფასებით, 2024 წლის მეოთხე კვარტალში ზრდა დაფიქსირდა 8.3 პროცენტზე, ხოლო პირველ 3 კვარტალში 8.7, 9.7 და 11.0 პროცენტით გაიზარდა ეკონომიკა. მეოთხე კვარტალში 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით 38.9 პროცენტთან ზრდას აქვს ადგილი.
- 2024 წლის მეოთხე კვარტალში მშპ-ს რეალური ზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა:
 - ინფორმაცია და კომუნიკაცია: 29.7 % (1.8 პ.პ.)
 - განათლება: 36.2% (1.6 პ.პ.)
 - სახელმწიფო მმართველობა: 19.9 % (1.1 პ.პ.)
 - ჯანდაცვა: 23.6 % (0.7 პ.პ.)
 - ხელოვნება, გართობა და დასვენება: 14.9 % (0.5 პ.პ.)
 - პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები: 15.0 % (0.3 პ.პ.)
- კლების მიმართულებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგმა:
 - უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები: -2.3% (-0.2 პ.პ.)


მშპ ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით, 2024 IV კვარტალი




წყარო: საქსტატი

მარტის წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 3.5 პროცენტი


მთლიანი და საბაზო ინფლაცია, % წ/წ




ინფლაციის დეკომპოზიცია



საბაზო ინფლაცია




ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, სეზ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

სავაჭრო დეფიციტი თებერვალში წლიურად შემცირდა 6.3 პროცენტით


ადგილობრივი ექსპორტის ცვლილება, % წ/წ




იმპორტის ცვლილება, % წ/წ



ექსპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, % წ/წ




იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია, %




- თებერვალში ექსპორტი წლიურად შემცირდა 7.1 პროცენტით და გაუტოლდა 431.5 მლნ აშშ დოლარს.
- ადგილობრივი ექსპორტი წლიურად შემცირდა 10.8 პროცენტით და გაუტოლდა 202.2 მლნ აშშ დოლარს.
- იმპორტი წლიურად შემცირდა 6.6 პროცენტით და გაუტოლდა 1 103.4 მლნ აშშ დოლარს.
- სავაჭრო დეფიციტი წლიურად შემცირდა 6.3 პროცენტით და გაუტოლდა 671.9 მლნ აშშ დოლარს.
- რეექსპორტის წვლილმა ექსპორტის ზრდაში შეადგინა -1.9 პროცენტი (-3.6 %წ/წ), ხოლო ტრადიციული საქონლის ექსპორტმა შეიტანა -3.9 პროცენტის წვლილი (-28.1 %წ/წ).
- საინვესტიციო, შუალედური და სამომხმარებლო საქონლის იმპორტის წვლილმა იმპორტის წლიურ ზრდაში შეიტანა -6.4, 0.5 და -0.7 პროცენტი, შესაბამისად.

წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ექსპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი ექსპორტის %



ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, თებერვალი




ექსპორტის ტოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 155.2 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 36.0 პროცენტი.
- მადნები და კონცენტრატები ძვირფასი ლითონის: 30.2 მლნ აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 7.0 პროცენტი.
- ყურძნის ნატურალური ღვინოები: 16.4 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 3.8 პროცენტი.


იმპორტის ტოპ საქონელი:

- მსუბუქი ავტომობილები: 153.1 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 13.9 პროცენტი.
- ნავთობი და ნავთობპროდუქტები: 95.0 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 8.6 პროცენტი.
- ნავთობის აირები და აირისებრი ნახშირწყალბადები: 71.8 მლნ. აშშ დოლარი - მთლიანი ექსპორტის 6.5 პროცენტი.

იმპორტის ტოპ 10 საქონელი, მთლიანი იმპორტის %



იმპორტი ქვეყნების მიხედვით, თებერვალი



ექსპორტის ტოპ ქვეყნები:

- ყირგიზეთი: 91.7 მლნ. აშშ დოლარი - 21.2 პროცენტი.
- ყაზახეთი: 55.5 მლნ. აშშ დოლარი, - 12.9 პროცენტი.
- აზერბაიჯანი: 51.5 მლნ. აშშ დოლარი, - 11.9 პროცენტი.


იმპორტის ტოპ ქვეყნები:

- ევროკავშირი: 279.3 მლნ. აშშ დოლარი - 25.3 პროცენტი.
- რუსეთი: 175.0 მლნ. აშშ დოლარი, - 15.9 პროცენტი.
- თურქეთი: 163.2 მლნ. აშშ დოლარი, - 14.8 პროცენტი.

წყარო: საქსტატი

2025 წლის თებერვალში დაფიქსირდა წმინდა ფულადი გზავნილების 5.7 პროცენტის კლება

წმინდა ფულადი გზავნილები, 2025-2019




წმინდა ფულადი გზავნილები, თებერვალი 2025

ქვეყანა	წმინდა ფულადი გზავნილები (მლნ აშშ დოლარი)	ცვლილება, %წ/წ	წვლილი ზრდაში, პპ
აშშ	46.3	15.0	2.5
იტალია	43.4	-0.2	0.0
რუსეთი	27.1	-47.0	-10.1
ისრაელი	21.1	5.8	0.5
გერმანია	19.2	9.8	0.7
საბერძნეთი	17.9	1.9	0.1
სხვა	44.1	2.7	0.5

- 2025 წლის თებერვალში წმინდა ფულადმა გზავნილებმა შეადგინა 223.6 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 5.7 პროცენტით ნაკლებია, ხოლო 2019 წელთან შედარებით 107.5 პროცენტით მეტია.

- წმინდა ფულადი გზავნილები გაიზარდა:
 - აშშ: 15.0 პროცენტი (2.5 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - ყირგიზეთი: 114.1 პროცენტი (1.3 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - გერმანია: 9.8 პროცენტი (0.7 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
- წმინდა ფულადი გზავნილები შემცირდა:
 - რუსეთი: -47.0 პროცენტი (-10.1 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - ყაზახეთი: -45.3 პროცენტი (-1.8 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)
 - უზბეკეთი: -273.1 პროცენტი (-0.5 პ.პ. მთლიან ზრდაში კონტრიბუცია)


წმინდა ფულადი გზავნილების წლიური ზრდა წყარო ქვეყნების მიხედვით




წყარო: სეზ

თებერვალში რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი 8.5 პროცენტით გაუფასურდა


ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი



რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



ვალუტების კურსები აშშ დოლართან მიმართებაში




შენიშვნა: ზრდა ნიშნავს გამყარებას


	1 აპრილი, 2025		1 აპრ 2025 - 1 იან 2025		1 აპრ 2025 - 1 იან 2024
ევრო	2.9890	▼	-2.0%	▼	-0.5%
აშშ დოლარი	2.7648	▲	1.8%	▼	-2.7%
თურქული ლირა	0.0729	▲	9.2%	▲	24.8%
რუსული რუბლი	0.0325	▼	-20.4%	▼	-7.8%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	189.48	▼	-1.8%	▲	1.7%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (თებერვალი 2025)	136.18	▼	-2.5%	▼	-8.3%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი (სებ)


ნაერთი ბიუჯეტის შესრულება, მარტი 2025




ნაერთი ბიუჯეტი, მლნ ლარი



გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, % წ/წ



ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები, მლნ ლარი



- 2025 წლის მარტში გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის ფაქტობრივმა მაჩვენებელმა შეადგინა 2,174 მლნ ლარი, რაც დაგეგმილ მაჩვენებელს 9.6%-ით აღემატება.


- 2025 წლის თებერვალში, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები წლიურად გაიზარდა 7.3 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 10.5 პროცენტით.

- ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 105.2 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო კი განისაზღვრა უარყოფითი -248.8 მლნ ლარით.


- 2025 წლის თებერვალში, გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის წლიურ ზრდაზე მნიშვნელოვანი დადებითი გავლენა იქონია დამატებული ღირებულებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა, შესაბამისად 5.2 და 3.7 პროცენტის კონტრიბუციებით მთლიან ზრდაში.

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო


პორტფელის შემოსავლიანობის მრუდი




საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი



ობლიგაციების ემისია და მოთხოვნა, მლნ ლარი





ფასიანი ქაღალდების კომპოზიცია დაფარვამდე დარჩენილი ვადის მიხედვით (31 მარტი)





- 2025 წლის მარტში ჩაგარდა 6 გამოშვებისა და 1 გაცვლის აუქციონი. სახაზინო ფასიანი ქაღალდების ჯამურმა გამოშვების მოცულობამ შეადგინა 322.99 მლნ ლარი.
- საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა 8.44% შეადგინა.
- გამოშვებულ იქნა 6 და 12 თვის ვადიანობისა და 3, 5, 7 და 11 წლის ნარჩენი ვადიანობის მქონე სახაზინო ობლიგაციები. დაიფარა 90.0 მლნ ლარის მოცულობის სახაზინო ვალდებულებები.
- 2025 წლის 31 მარტისათვის სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელის 42.5% ფორმირებულია იმ ფასიანი ქაღალდებით, რომელთა დაფარვის ვადა ღვება მომავალი 1-3 წლის განმავლობაში. სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პორტფელში ასევე დიდი წილი უკავია 5 და მეტი წლის ვადიანობის მქონე ობლიგაციებს (დაახლოებით 30.7%).
- მოთხოვნის კოეფიციენტი გასული თვის მაჩვენებელთან (თებერვალი 2.22) შედარებით შემცირდა და 1.88 შეადგინა.
- იანვარში სახაზინო ფასიანი ქაღალდების დარჩენილი საშუალო შეწონილი ვადიანობა არ შეცვლილა და 3.6 წელი შეადგინა (თებერვალი 3.6 წელი).

სესხების ლარიზაცია




დეპოზიტების ლარიზაცია




- 2025 წლის 28 მარტის მდგომარეობით, მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 56.5 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 74.9 პროცენტი შეადგინა.
- იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ შეადგინა 36.0 პროცენტი.
- მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 46.1 პროცენტს უგოლდება.
- იურიდიული პირების დეპოზიტების ნაშთებზე ლარიზაცია 60.2 პროცენტს გაუგოლდა.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 33.7 პროცენტს შეადგენს.
- ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია შეადგენს 51.3 პროცენტს.
- მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია უგოლდება 42.2 პროცენტს უგოლდება.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 40.8 პროცენტს შეადგენს.

წყარო: სეზ


სესხების წლიური ზრდა, %



სესხების წლიური ზრდა, %



უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, % წ/წ



- 2025 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 16.9 პროცენტით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით).
- იურიდიული პირების სესხების წლიური ზრდა 18.5 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 15.1 პროცენტს შეადგენს.
- 2025 წლის 1 მარტის მდგომარეობით, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდის მნიშვნელობა 22.7 პროცენტს გაუგოლდა.
- უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წლიური ზრდა 10.1 პროცენტს გაუგოლდა.
- 2025 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 14.6 პროცენტი შეადგინა. ამასთან იპოთეკური სესხები, რომლებიც ეროვნულ ვალუტაშია დენომინირებული 22.2, ხოლო იპოთეკური სესხები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, 8.1 პროცენტით გაიზარდა.

თეგერვალში უმეტესი დეპოზიტების წლიური ზრდის ტემპი კლებას განიცდის

დეპოზიტების წლიური ზრდა, %




28.02.2025

დეპოზიტების წლიური ზრდა, %

28.02.2025

დეპოზიტების წლიური ზრდა, %

28.02.2025




- მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2025 წლის 28 თებერვლის 2024 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 11.3 პროცენტს შეადგენს.
- ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა გაუგოლდა 7.7 პროცენტს, ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიური ზრდა იმავე პერიოდში 14.6 პროცენტს შეადგენს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 13.0 პროცენტი შეადგინა, ხოლო იურიდიული პირების დეპოზიტების ზრდის მნიშვნელობა 9.4 პროცენტს გაუგოლდა.
- მიმდინარე ანგარიშების წლიურმა ზრდამ 2025 წლის თებერვლის ბოლოს შეადგინა -4.5 პროცენტი (კლება).
- ვადიანი დეპოზიტების ნაშთების წლიური ზრდა 24.5 პროცენტს გაუგოლდა.
- მოთხოვნამდე დეპოზიტების ზრდამ შეადგინა 7.7 პროცენტი.


წყარო: სეზ

მარტი 8 პროცენტიანი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი მოქმედება

ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი



სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ აშშ დოლარი



■ საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის მორიგი სხდომა 2025 წლის 12 მარტს ჩატარდა. კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების 8 პროცენტიანი განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ.


■ სებ-ს მიხედვით, ინფლაცია სამიზნე მაჩვენებელზე (3 პროცენტი) დაბალია. ამის უმთავრესი მიზეზია საშინაო ფაქტორები, კერძოდ, ადგილობრივად წარმოებული პროდუქციისა და მომსახურების ფასების შედარებითი სიხისტე, ბიზნეს სესხების ზრდის აჩქარება და მაღალი ეკონომიკური აქტივობა. ასევე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკის წარმოების პოტენციალი მაღალ დონეზე ნარჩუნდება, რაც ძლიერი შიდა ერთობლივი მოთხოვნის მიერ წარმოქმნილ ფასებზე ზეწოლას გარკვეულწილად ანეიტრალებს. მეორე მხრივ, საგარეო ფაქტორებიდან ხაზგასასმელია გლობალური ეკონომიკური გაურკვეველობა (რაც ძირითადად სავაჭრო სატარიფო პოლიტიკის ცვლილებების უკავშირდება) და საერთაშორისო ბაზრებზე საკვები ნედლეულის მზარდი ფასები, რამაც შესაძლოა ინფლაციური წნეხი წარმოქმნას საქართველოში. ამის გარდა მნიშვნელოვანია აღინიშნოს ამერიკული დოლარის ინდექსის გლობალურად შესუსტება, რაც ლარის მასთან მიმართებით გამყარებაზე დადებითად მოქმედებს და იმპორტირებული პროდუქციის გაიაფებას უწყობს ხელს. მიმდინარე წლის მარტში ფაქტობრივმა ინფლაციამ (წ/წ) 3.5 პროცენტი შეადგინა. ხაზგასასმელია, რომ 2024 წელს საშუალო წლიური ინფლაცია 1.1 პროცენტზე დაფიქსირდა.

■ მონეტარული პოლიტიკის შემდეგი სხდომა 2025 წლის 7 მაისს ჩატარდება.



■ საქართველოს ეროვნულ ბანკს მარტში სავალუტო ინტერვენციები არ განუხორციელებია.

უმეტესმა საბაზრო საპროცენტო განაკვეთებმა სესხებზე უცხოურ ვალუტაში ზრდა განიცადა

საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტებზე



საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



- 2025 წლის 1 მარტის მდგომარეობით, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 2.5 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით 10.1 პროცენტს.
- იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 10.6 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით 3.1 პროცენტს.
- ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 2.5 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.1 პროცენტს (ზრდა) შეადგენს.
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 12.3 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 15.5 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.4 პროცენტს).
- საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტო განაკვეთი გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე 15.9 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 16.7 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.7 პროცენტს).
- იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2025 წლის თებერვლის ბოლოს 12.5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოურ ვალუტით 9.3 პროცენტს. ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 12.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში 7.7 პროცენტი.

წყარო: სეზ

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

საქართველო, თბილისი 0105, გორგასლის ქუჩა N16

ცხელი ხაზი: (995 32) 2 261 407

ელ. ფოსტა: info@mof.ge; www.mof.ge



საქართველოს ფინანსთა
სამინისტრო